სანახაობრივი ადგილები შეიძლება იყოს ურთიერთმხარდამჭერი და სთავაზობდეს შესანიშნავ არჩევანს ოჯახებს - მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება განსხვავდებიან თემატურად ერთმანეთისგან. წარმატებული დანიშნულების ადგილი, მიმზიდველია თითოეული ვიზიტორისთვის. კოორდინირებული და თანმიმდევრული შეთავაზებას ხელი შეიძლება შეუშალოს არარეალიზებულმა შემთხვევამ, ამიტომ საჭიროა ფრთხილი და გააზრებული მართვა.

დესტინაციის მარკეტინგი უპირველეს ყოვლისა ხორციელდება დამოუკიდებელი ფირმების და სააგენტოების დიდი ჯგუფის მიერ, რომლებიც მუშაობენ ერთად, რათა შეასრულონ საკუთარი დამოუკიდებელი ინტერესები.

3. ტურიზმის მიმწოდებლები: მიმწოდებლები მოიცავენ ორივე როგორც კერძო (მაგ. სასტუმრო) ასევე საჯარო სექტორის (მაგ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეპარტამენტი) ორგანიზაციებს. თითოეულ კერძო სექტორის ფირმა მოიქცევა ისე, რომ მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს საკუთარი ინვესტიციებიდან, ხოლო საჯარო სექტორში სააგენტოები იმოქმედებენ ისე, რომ მაქსიმალურად გაზარდონ მათი რესურსების ეფექტურობა და განახორციელონ მათი საკანონმდებლო მანდატი. მაგრამ ამის გამო, ტურისტულ ბაზარზე აუცილებელია მოთამაშეების დამოუკიდებლობა, დანიშნულების ადგილის ტურიზმის მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა ეცადონ რომ მოახდინონ მათი მარკეტინგული საქმიანობის კოორდინაცია.

მიუხედავად ამისა, კერძო ფირმები შეზღუდულნი არიან დანიშნულების ადგილის მარკეტინგის გრძელვადიანი პერსპექტივის განხილვის თვალსაზრისით მოკლევადიანი მოგების და არასრულყოფილი ინფორმაციის ზეწოლის გამო. ძნელია კოორდინაციის შენარჩუნება, რადგან თანდაყოლილი სირთულე გავლენას ახდენს ინდივიდუალური შენატანებისა და ინდივიდუალური უკუგებებზე. ეს შთააგონებს სპეციალიზებული საჯარო და კერძო ინტერესების კოორდინატორს იმ საჭიროებებს, რომელიც ადგენს არა მხოლოდ კოორდინაციის სტრატეგიას, არამედ საკუთარ თავზე იღებს კოორდინაციის სარგებლის დემონსტრირებას. ეს არის ის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხარჯი, რომელიც ძალიან ხშირად ავიწყდებათ კერძო ფირმებს და სააგენტოებს, როდესაც კოორდინაციას უწევენ ტურისტულ პოლიტიკას.

4. მოქალაქე: საბოლოო ავტორიტეტი და ბენეფიციარი რომელიც დაკავშირებულია საკუთარ ქალაქთან.

დანიშნულების ადგილის მარკეტინგის პირველი მანდატი არის დააკმაყოფილოს გრძელვადიანი საჭიროებები და სურვილები და მისი ბუნებრივი შემადგენელი ნაწილები: ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ და სიცოცხლეს უნარჩუნებენ ქალაქს. მოქალაქეებს თხოვენ რომ უმასპინძლონ ვიზიტორებს და მოახდინონ საკუთარი

ქალაქის ჰარმონიზაცია ვიზიტორების საჭიროებების და მოლოდინების გათვალისწინებით. თუმცა რა სარგებელს იღებენ ტურიზმისგან ეს მოქალაქეები? სცილდება თუ არა ეს წმინდა ეკონომიკის ფარგლებს? სწორედ ეს საკითხებია მნიშვნელოვანი, იმისთვის რომ დანიშნულების ადგილის მარკეტინგი იყოს წარმატებული და პასუხისმგებლობა ამ საკითხებზე ასევე ეკისრება, საჯარო და კერძო ინტერესების კოორდინატორს.

5. საჯარო-კერძო ინტერესების კოორდინატორი: ორგანიზაცია (მაგალითად, ისეთი როგორცაა ტურიზმის ეროვნული საბჭო), რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა რომ კოორდინირება გაუწიოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათი ობიექტების ინტერესებს და ქმედებებს დანიშნულების ადგილის მარკეტინგის გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საქმეა გაზრდოს პოტენციური სარგებელი რომელიც ხელმისაწვდომი ყველა მხარისათვის. მათი მოვალეობებია:

ა. აღიარონ ყველა დაინტერესებული მხარე და მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოახდინონ რეაგირება მათი ინტერესებიდან გამომდინარე

ბ. შეასრულონ წამყვანი როლი შემომავალი ტურიზმის ბაზრის კვლევისა და ანალიზში.

გ. მოახდინონ ბაზარზე დადებითი და უარყოფითი გავლენების იდენტიფიცირება.

დ. აცნობონ ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ გავლენების შესახებ და ხელი შეუწყონ მხარეებს რათა მიიღონ ამ პროცესის შესაბამისი ინოვაციური ან საკანონმდებლო გადაწყვეტილებები.

ე. შექმნან დადებითი გავლენა ბაზარზე იმ მარკეტინგული საქმიანობებით, რომელის საკუთარ თავზე აღება არ შეუძლია არც ერთ სხვა პარტიას.

(მაგ. სამომხმარებლო კვლევა, განვითარებისა და დანიშნულების ადგილის საიმიჯო ბრენდინგი, კომუნიკაცია, და ა.შ.). ძირითადად, საჯარო და კერძო ინტერესების კოორდინატორის მთავარ როლს წარმოადგენს ტურიზმის ბაზრის უწყვეტი და სწრაფი შესწავლა მოთხოვნა-მიწოდების ბაზარზე და ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობების შექმნა, საფრთხეების და შესაძლო სფეროების კოორდინაცია. ეს როლი ვერ შესრულდება ეფექტურად თუ საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი პირები იმოქმედებენ დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, საჯარო და კერძო სექტორის ინტერესები ოპტიმალურად სრულდება, როდესაც მესამე მხარის კოორდინატორი უზრუნველყოფს ამ მომსახურებას; ამიტომ, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორმა სამართლიანად ერთად უნდა დააფინანსონ ამ მომსახურების გაწევა.

განსაზღვრეთ თქვენი დანიშნულების ადგილი

სანამ დაიწყებთ რაიმეს კეთებას თქვენ უნდა დაჯდეთ და იფიქროთ იმაზე, თუ რა გაქვთ და რა გსურთ რომ გაყიდოთ. თქვენი დანიშნულების ადგილის განსაზღვრით შეგიძლიათ გაარკვიოთ რა ტიპის ტურისტები შეიძლება დააინტერესოთ თქვენი პროდუქტით და რომელი ტურისტების მოზიდვას შეძლებთ.

ადგილმდებარეობა, ადგილმდებარეობა და ისევ ადგილმდებარეობა

დრო ძალიან ცოტაა დღესდღეობით! ამიტომაც დასასვენებლად წასვლა ოჯახის ან მეგობრების წრეში, გახდა უფრო ძვირფასი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. საჭიროა დრო, რათა იპოვოთ აუცილებელი ინფორმაცია, დაჯავშნოთ სასტუმრო, მიაღწიოთ დანიშნულების ადგილს, ან შეამოწმოთ კონკრეტული ადგილი, როდესაც ჩახვალთ დანიშნულების ადგილზე, ხელმისაწვდომობა და სიმარტივე იკავებს მთავარ ადგილს ვიზიტორთა კრიტიკული მოსაზრებების სიაში. ადამიანებზე რომლებიც მგზავრობენ შორ მანძილზეპირდაპირ გავლენას ახდენს ის თუ რამდენ ხანს შეიძლება დარჩნენ, ან კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სურთ თუ არა მათ ძალისხმევა გაწიონ ამ ადგილამდე მისასვლელად. რამდენად ადვილია იქ მოხვედრა? არის თუ არა ხელმისაწვდომი მთელი წლის განმავლობაში? რამდენად მისაღები იქნება გარემო მათი იქ ყოფნის განმავლობაში? ნებისმიერი საზოგადოებისათვის რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული ტურიზმით, კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს ვიზიტორთა ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის გაზრდა. სატრანსპორტო სისტემებსა და ტურიზმს შორის არსებობს სასიცოცხლო კავშირი. ამიტომ დარწმუნებული უნდა იყოთ რომ ეს ადგილი იქნება ადვილად ხელმისაწვდომი ტურისტებისთვის რათა ესტუმრონ და სარგებელი მიიღონ თქვენთან ვიზიტით.

ქალაქზე მანძილი შეიძლება ახლოს ჩანდეს, მაგრამ თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ეს არის არ სიმართლე. ვიყოთ რეალისტები და გავზომოთ დრო და არა მანძილი. რამდენ ხანში შეიძლება ჩახვიდეთ დანიშნულების ადგილზე ერთ საათში თუ ერთ დღეში? და არა მხოლოდ ეს, მოგზაურობა დანიშნულების ადგილამდე უნდა იყოს სასიამოვნო. მოძებნეთ გზაზე ადგილები, რომლებმაც შეიძლება დაანტერესოს თქვენი სტუმრები რათა გაჩერდნენ და გაუჩნდეთ დათვალიერების, მცირე შესვენების, ყავის დალევის ან წახემსების სურვილი. ეწვიონ მონუმენტურ ეკლესიას ან ვენახს. დაგეგმეთ თქვენი მარშრუტი ისე, რომ, როგორც მინიმუმ, ყოველ 90-ე წუთზე, არსებობდეს შესაძლებლობა, რომ შეისვენონ, განიტვირთონ ან გადაიღონ ფოტოები. თუ ნორმალურ გზატკეცილზე მოძრაობით, ფარავთ მანძილს 50 კმ საათში, ცხადია მგზავრობას მთაში და მოუპირკეთებელ გზებზე უფრო მეტი დრო დასჭირდება, ამიტომ თუ ექსკურსიების ორგანიზებას აპირებთ თქვენ საზოგადოებელ ტერიტორიაზე ნიმუშად შეგიძლიათ აიღოთ

საკუთარი თავი და დაფაროთ ის მანძილი რის შეთავაზებასაც ტურიტებისთვის აპირებთ.

რას ყიდით?

შეხედეთ და დააკვირდით თქვენს პროდუქტს მომხმარებლის თვალით, თითქოს თქვენ ის ადრე არასოდეს გინახავთ. ავიღოთ თუნდაც მაგალითები.

თქვენ გაქვთ სასტუმრო 20 ორადგილიანი ნომერით. საუკეთესო შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ უმასპინძლოთ 40 სტუმარს. აპირებთ თუ არა ოპერატორს მისცეთ ყველა ნომრის გაყიდვის უფლება? რატომ ან რატომ არა?

თქვენ გაქვთ ვენახი და ღვინის სადგეუსტაციო ოთახი. აპირებთ თუ არა ხელი შეუწყოთ თქვენი პროდუქციის ოჯახებისთვის შეთავაზებას? რატომ ან რატომ არა?

თქვენ გაქვთ ძეგლი, ეკლესია, მონასტერი, ან მუზეუმი. რა ტიპის ტურიტების მოზიდვას შეძლებთ?

არასოდეს გაყიდოთ ის რისი შეთავაზებაც არ შეგიძლიათ . ცუდი გამოცდილების აღდგენას წლები სჭირდება. მაგრამ არსებობს ბევრად უფრო მნიშვნელოვანიც.

შეგიძლიათ დაუკავშიროთ თქვენი პროდუქტი, კიდევ ერთ მიმწოდებელს რომელიც მოღვაწეობს თქვენს ტერიტორიაზე? ჩვენ ამას ვუწოდებთ, "დამატებით ღირებულების".

არის თქვენი პროდუქტი გათვლილი ადგილობრივ ბაზარზე თუ საერთაშორისო ბაზარზე? ადგილობრივი ბაზარი ხარჯავს ნაკლებს მაგრამ ეს ყველაფერი შეესაბამება მათ დანახარჯებს.

არის თქვენი პროდუქტი სეზონური; არსებობს გზა რომ გააგრძელოთ სეზონი? შუალედური პაკეტის შეთავაზება არის თქვენი სეზონის გაფართოების ერთ-ერთი გზა.

გახადეთ თქვენი პროდუქტი კლიენტისათვის მიმზიდველი.

რა ხდის თქვენს დანიშნულების ადგილს უნიკალურს და სხვებისგან განსხვავებულს?

დისნეის კომპანიამ შეიძინა უზარმაზარი მიწა ფლორიდაში, რომელიც წარმოადგენდა ჭაობს და პრაქტიკულად უსარგებლო იყო. ეს იყო ცხელი, ნესტიანი და კოლოებით სავსე ტერიტორია. დღეს ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული ატრაქცია მსოფლიოში: ადფრთოვანებული ოჯახების დაუსრულებელი რიცხვი, პარკები, ატრაქციონები, მუზეუმები, კონცერტები, სპორტი, სამზარეულო და ასევე მზარდი სია რომელსაც კვლავაც ემატება აქტივობები და მოიცავს თითქმის ყველა არსებულ დასვენების თუ გართობის საშუალებას.

ლას ვეგასი იყო ადგილი უდაბნოში, სადაც არ იყო ბუნებრივი წყალი. დღეისათვის კი ლას ვეგასს ყოველწლიურად 30 მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობს.

ორივე ადგილის შემთხვევაში შეუძლებელი ჩანდა ვიზიტორების მოზიდვა და მათი დაინტერესება, მაგრამ ფანტაზიის უნარმა და კოოპერაციამ გახადა ისინი ისეთი როგორებიც არიან დღეს.

ყველა ადგილს გააჩნია საკუთარი ისტორია, ხასიათი, სტილი, ხალხი და კულტურა, რომელიც ასახავს ამ ადგილის არსს. თუ თქვენ შეგიძლიათ შეინარჩუნოთ და ინტერპრეტაცია გაუკეთოთ მოცემულ ადგილებს ისე, რომ გააძლიეროთ ვიზიტორთა შთაბეჭდილება მაშინ თქვენ შეგიძლიათ შეინარჩუნოთ ზღვარი რათა დაიცვათ გადმოცემის კარგად ნაცნობი "იდენტობა". დანიშნულების ადგილზე ცუდად აისახება ქუჩებში არქიტექტურის კონტექსტიდან ამოვარდნილი შენობები და ერთიანი, ეროვნული ფრანჩიზები, რომელებსაც არ სურთ არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინება, რაც უკარგავს ადგილს „ადგილობრივ გრძნობას“ ან ხასიათს. სტუმრებს სურთ გაიგონ და განიცადონ ადგილობრივი ისტორიები ქუჩების, საკვების, მუზეუმების, სპეციალური ღონისძიებების, ან ადგილობრივების ცხოვრების წესის მეშვეობით.

საზოგადოების მოთხოვნა მოიცავს მეტს, ვიდრე მხოლოდ "რა უნდა ნახონ და გააკეთონ". ასე რომ, მრავალი დესტინაცია ცდილობს გაყიდოს საკუთარი მომსახურება სხვადასხვა მიმართულების ატრიბუტების გამოყენებით მაგ : სანაპირო, კაზინო, ტყე, ან ისტორიული მუზეუმი. რეალობა არის ის, რომ ტურისტები მოგზაურობენ იმისთვის რათა ამ გზის საშუალებით თავი კარგად იგრძნონ. ეს გულისხმობს იმას რომ სტუმარი დესტინაციას უკავშირდება სენსორულ ან ემოციურ დონეზე. დანიშნულების ადგილს, რომელსაც შეუძლია მოუტანოს ტურისტს განსხვავებული და დაუვიწყარი გამოცდილება და არა მხოლოდ მკაფიო უპირატესობა კონკურენტული პირობებში, შეუძლია ასევე მოიზიდოს ტურისტები პრემიუმ ფასებით და შექმნას მაღალი ღირებულებები. დესტინაციები და ტურისტული ოპერატორები, რომლებიც ფოკუსირებული არიან სამომხმარებლო გამოცდილებაზე და ეფექტურად ახდენენ მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არიან ყველაზე მეტად მოგებულნი და მიმზიდველნი. ყველა ადგილას აქვს რაღაც, რაც გამოარჩევს მას სხვებისგან. როდესაც ეს "რაღაც" არის მიმზიდველი ვიზიტორებისათვის, მაშინ შესაძლოა ეს რაღაც, არის ის რისი საშუალებითაც შეგიძლიათ შექმნათ მარკეტინგული კამპანია და ასევე შესაძლოა მოახდინოთ მისი ბრენდინგიც. მეორეს მხრივ, თუ თქვენი ქუჩები, ატრაქციონები, ან სოფელი არის ისეთივე როგორსაც ყველგან შეხვდებით, რატომ უნდა ესტუმროს ტურისტი მას? ამიტომ უნდა მოახდინოთ ფოკუსირება ადგილის თავისებურებებზე

და შთაბეჭდილებებზე, რათა თქვენი დანიშნულების ადგილი გახდეს მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ადგილი ტურისტებისათვის. აქვს თქვენს დესტინაციას გამორჩეული ბუნებრივი, კულტურული ან ისტორიული ფუნქციები? აქვს მას განსხვავებული მახასიათებლები ან თავისებურებები? აქვს მას უნიკალური ამბავი რომელსაც მოუთხრობთ სხვებს? ეს არის გასაღები ტურიზმის წარმატებული განვითარებისთვის. დესტინაციებს ერთმანეთისგანი მათი უნიკალურობა განასხვავებს.

მაღაზიებში სიარული და ვაჭრობა ტურიზმის განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოს ურბანული დესტინაციების უმეტესობაში (და ასევე მრავალ არაურბანულ დესტინაციაში), ვაჭრობა შეიძლება არც იყოს მთავარი მიზეზი ტურისტების იქ ჩასვლისა, მაგრამ ვაჭრობა ნელ ნელა ხდება ტურისტული დესტინაციების ნომერ პირველი საქმიანობა. სხვადასხვა საინტერესო საცალო მაღაზიების ერთმანეთის სიახლოვეს არსებობა შესაძლოა გახდეს შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. სადღესასწაულო შოპინგი დღეისათვის წარმოადგენს ფულის მოზიდვის უპირველეს წყაროს.

რა ღირს?

არის მთავარი კითხვა, რომელსაც პირველ რიგში ყველა ტურისტი სვამს. ფასი არის შედარების საკითხი. ღირს ეს ნივთი ანაღ? შემოდელია გადავიხადო ამდენი?

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ თქვენი ფასისა და ადგილის შედარებას და ასევე მის შედარებას ფულის საერთო ღირებულებასთან. შეესაბამება თუ არა ის ფასი იმ პროდუქტს რომელიც მასში უნდა გადავიხადოთ? დარწმუნდით, რომ თქვენ არ შეადარებთ ფასის მხრივ ვაშლს და მსხალს ერთმანეთს.

რამდენის გადახდა მოუწევს სტუმარს რომ მიაღწიოს დანიშნულების ადგილამდე? და როდესაც ის მივა იქ, რამდენის გადახდა მოუწევს იმაში რომ გააკეთოს ის რაც სურს?

ემპირიული წესი:

გასაყიდი ფასი = თქვენი ფასი + 20-დან 30%

ტურ ოპერატორმა უნდა გადაუხადოს სამოგზაურო აგენტს (10%) რათა ხელი შეუწყოს პროდუქტის რეალიზაციას.

მაგალითად: თუ თქვენ ფლობთ ან მართავთ სასტუმროს ბიუჯეტს, რომელიც არის ნაკლებად კეთილმოწყობილი, თქვენ მას შესაბამისი ფასი უნდა დაადოთ და არა ისეთი როგორც აქვთ კეთილმოწყობილ სასტუმროებს ახალი ავეჯით, შესანიშნავი საწოლებით და აუზით. თუ თქვენ მსგავს ფასს დაადებთ თქვენს დაწესებულებას,

რადგან ზედმეტი დანახარჯები გაქვთ ეს უკვე ნიშნავს რომ თქვენ რაღაცას არასწორად აკეთებთ.

ჭკვიანი მენეჯერები ქმნიან პაკეტს: გახსოვდეთ ის ბიჭი, რომელიც ყიდდა ბანანებს. სხვა დამატებითი პროდუქტის შეთავაზება ღირებულება მომხმარებლისთვის. შეხედეთ და მოუსმინეთ რა სურთ თქვენს მომხმარებლებს.

მაგალითად: თუ თქვენ ორგანიზებას უკეთებთ ექსკურსიებს ან მართავთ ტურებს, შემატეთ თქვენს პროდუქტს მიმზიდველობა და შესთავაზეთ რაღაც უფასოდ. ან მოახდინეთ ღირებულებისა და დროის დაზოგვის გათვალისწინებით რამდენიმე დღიანი ტურ-პაკეტის შეთავაზება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სანახაობებს.

მაგალითად: თუ მართავთ ქალაქის ტურებს შესთავაზეთ თქვენს ტურისტებს რესტორნების კუპონები რომლებიც მათ უფასო სასმელს ან ფასდაკლებით კვებას შესთავაზებს.

ვისთვის?

ვინ არის თქვენი მომხმარებელი? ეს არის კითხვა, რომელზეც თქვენ უნდა იპოვოთ პასუხი. თქვენ ვერ შესთავაზებთ წყლის რაფტინგს ხანდაზმულ ადამიანებს და ბავშვებს. თქვენ ვერ წაიყვანთ არამსმელებს ღვინის ტურზე. ეს არის მარტივი მაგალითები. მაგრამ ეს საკითხი ბევრად უფრო რთულია.

ახალი არაფერია იმაში, რომ ტურისტები უპირატესობას ლამაზ და საინტერესო დანიშნულების ადგილებს ანიჭებენ. თუმცა ხშირად ეს არაა მართალი და ამგვარი აზროვნება აუცილებლად ხელს შეუშლის თქვენთვის მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევას. თქვენ არ შეგიძლიათ დაგეგმოთ, მიიღოთ სრული სარგებელი თქვენი პოტენციალიდან, ან თავიდან აიცილოთ უარყოფითი შემთხვევები, ტურისტული ბაზრის, ვიზიტორების (მოთხოვნის მხარე) და ტურისტული ინდუსტრიის (მიწოდების მხარე) ცოდნის გარეშე.

დავიწყოთ თავიდან და პირველ რიგში ჩავატაროთ მცირე კვლევა იმ ხალხისა, რომელიც გესტუმრებათ. შეადგინეთ კითხვარი, რომელშიც დაყოფთ მომხმარებლებს კატეგორიების მიხედვით:

1. რამდენი წლის არიან ისინი - საკმარისად მარტივია, რადგან თქვენ ხედავთ მომხმარებელს
2. საიდან არიან ისინი - ჰკითხეთ

3. რა არის მათი შემოსავალი - სახიფათოა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ჩვეულებრივ შექმნათ სამი საშემოსავლო ჯგუფი საკმაოდ ადვილად ბიუჯეტის მიხედვით: დაბალ ბიუჯეტისანი, საშუალო შემოსავლის მქონე, მაღალ ბიუჯეტისანი.

4. რა მოსწონთ - საკვები, სპორტი, სიმშვიდე და სიწყნარე, შოპინგი, მოდა, მთები, ლაშქრობა, ფოტოგრაფია, ფრინველებზე დაკვირვება და ა.შ.

5. როგორ ახდენენ კომუნიკაციას - იყენებენ მობილურ ტელეფონს, ნოუთბუქს თუ საერთოდ არ აქვთ ელექტრონული ფოსტის მისამართი?

6. რაში მოსწონთ ფულის დახარჯვა - ხელსაწყოებში, საკვებში, ტანსაცმელში, ღვინოში, სახლის დეკორაციაში, ინვესტიციებში, ოჯახთან, ბავშვებთან, ელექტრონიკაში და ა.შ.

7. როგორ მოგზაურობენ ისინი - მანქანით, ველოსიპედით, მატარებლით, თვითმფრინავით, ფეხით და ა.შ.

8. რამდენი ხნით აპირებენ დარჩენას

ერთი სეზონის შემდეგ გადახედავთ სტატისტიკას და გამოიტანთ დასკვნას.

ნუ ეცდებით იყოს ყველაფერი ყველასთვის. აირჩიეთ თქვენი სამიზნე სამომხმარებლო ჯგუფი და შექმენით მათზე მორგებული სამომხმარებლო პაკეტი.

თუ თქვენს მომხმარებლებს მოსწონთ ჭამა გააუმჯობესეთ კვების სერვისი.

თუ თქვენს მომხმარებლებს მოსწონთ სპორტული აქტივობები შესთავაზეთ შესაბამისი პაკეტი, მათ შორის ტრანსფერებიც.

თუ თქვენი მომხმარებლები არიან დაბალ ბიუჯეტისანი ოჯახები ბავშვებით, შესთავაზეთ თვითმომსახურების სერვისი. თუ თქვენი მომხმარებლები არიან მოხუცები დარწმუნდით რომ თავაზობთ მათ კომფორტული საწოლებს და ავეჯს.

თუ თქვენს მომხმარებლებს აქვთ უამრავი ფული, დარწმუნდით, რომ შეგიძლიათ შესთავაზოთ მათ გასვლითი ტურები სადაც ისინი სასიამოვნოდ გაატარებენ დროს.

და კიდევ ერთხელ: კოორდინაცია და თანამშრომლობა, იპოვეთ სხვა მომწოდებლები რომელთან ერთადაც იმუშავებთ, რათა შექმნათ სრულყოფილი პაკეტი.

შექმენით თქვენი პერსონალური საზღვრები

ეს არის ყველაფერი დაგეგმვის შესახებ. მას შემდეგ რაც გადაწყვეტთ თუ ვინ არის თქვენი სამიზნე ჯგუფი სასურველია შეიმუშაოთ 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. გქონდეთ საკუთარი მოსაზრება - დახარჯეთ თითოეული კაპიკი გონივრულად. ცხადია, თქვენ არ უნდა დაგეგმოთ კარვების ბანაკის აშენება თუ ტერიტორია განლაგებულია ციცაბო

გორაკზე, ან არ უნდა დააპიროთ სათხილამურო საბაგიროს აშენება თუ არასდროს ყოფილა თოვლი.

თუ გსურთ 5 წლის განმავლობაში გაორმაგდეს ვიზიტორთა რაოდენობა, თქვენ სამიზნე ჯგუფს ყოველწლიურად 15% უნდა დაემატოს. ეს არც ისე ცუდად გამოიყურება არა?

მაგრამ, ორმაგი რაოდენობის სტუმრისთვის ხუთ წელში თქვენი მომსახურების გაწევა ნიშნავს, იმას რომ თქვენ ახლავე უნდა დაიწყოთ დაგეგმვა. მაგალითისთვის ავიღოთ სატრანსპორტო კომპანია: თუ თქვენ ამჟამად გაქვთ ერთი ავტობუსი და გყავთ ორი მძღოლი, მომავალში თქვენ დაგჭირდებათ ორი ავტობუსი და ოთხი მძღოლი და ალბათ უფრო მეტი თანამშრომელიც საოფისე სამუშაოსთვის. ეს უკვე არის მსხვილი ინვესტიცია.

თუ თქვენ გაქვთ სასტუმრო ოცი ნომერით და რესტორანი ათი მაგიდით ამ დროს კი კიდევ ოთხი ადამიანია ვისაც სურს მიიღოს სერვისი ან მომსახურება, ეს იმას ნიშნავს, თქვენ უნდა ააშენოთ კიდევ ოცი ოთახი და გააფართოვოთ თქვენი სასადილო, აიყვანოთ მეტი პერსონალი და ა.შ.

თქვენ შეძლებთ ამის გაკეთებას?

მას შემდეგ რაც გადაწყვეტთ თქვენი ბიზნესის გაფართოებას თქვენი ზედნადები გაიზრდება. ღირს დამატებითი ბრუნვა ამაღ?

იქნებ არ უნდა გავზარდოთ სიდიდე არამედ საჭიროა შევხედოთ ყველაფერს სიღრმისეულად.

თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი მომხმარებლების კლასიფიკაცია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ თქვენ უნდა განსაზღვროთ მომხმარებლის ის რაოდენობა რომელსაც მარტივად გაუმკლავდებით და ამავე დროს შესთავაზებთ უფრო მრავალფეროვან (და უფრო მომგებიან) მომსახურებას.

გააკეთეთ თქვენი SWOT -ანალიზი

რა არის SWOT ანალიზი?

SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები)

SWOT ანალიზი არის მეთოდი რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი ბიზნესის ან მომსახურების მიმდინარე მდგომარეობა. იდეა არის ის, რომ თქვენ ახდენთ თქვენი მომსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, აღნიშნავთ შესაძლებლობებს და საფრთხეებს.

USP's უნიკალური გაყიდვის წერტილი

რა არის USP?

USP (უნიკალური სარეალიზაციო წერტილი)

უნიკალური გაყიდვის წერტილი არის პროდუქტის უნიკალური თვისება, რომელიც არ უნდა იცოდეს თქვენმა კონკურენტმა. ეს არის ის, რაც პროდუქტს კონკურენტუნარიანს ხდის პირდაპირი შედარების გარეშე. ზოგადად ყველაზე ძვირფასი, უნიკალური უპირატესობა პროდუქტის ან მომსახურებისა, ასევე ბაზრის პერსპექტივა რომელიც ამჟამად შეცვალა UPB-მ (გადაუხდელი ძირითადი ბალანსი).

იმისათვის, რომ გაიგოთ თქვენი პროდუქტის SWOT და USP აუცილებელია, რომ თქვენ გააკეთოთ კვლევა რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოთ ნახსენები პუნქტები.

ბიზნესი

გეგმა

საუკეთესო გზა მიზნების მისაღწევად და თქვენი პროექტის დაფინანსების მოსაპოვებლად არის სტანდარტული ბიზნეს გეგმის გამოყენება, რომელიც ყველა ეტაპებზე დაგეხმარებათ.

როგორ უნდა შესთავაზოთ თქვენი მომსახურება? აქამდე, იყო ტენდენცია როდესაც სერვისებს აერთიანებდნენ და სთავაზობდნენ მრავალფეროვანი პაკეტით, თქვენ კი ეს უნდა მოახერხოთ კომპანიის ადამიანური და მატერიალური რესურსების თავმოყრით ,ან სხვა ბიზნესის თანაპარტნიორობით, რომელიც ერთ რომელიმე ტიპის საქმიანობას მოიცავს.

ბრენდინგი

რა არის ბრენდი?

ჩვენ ყველა ვცნობთ Starbucks-ს ან McDonald-ს მათი ლოგოებით. რატომ არის ასე? იმის გამო, რომ იგი გამოიყენება მთელ მსოფლიოში ერთი და იმავე იდენტური წესით.

ჩვენ ყველა ვცნობთ, ნიუ-იორკის Apple-ს, პარიზის ეიფელის კოშკს, პიზის დახრილ კოშკს ან თუნდაც ჩინეთის ოლიმპიური თამაშების ლოგოს.

და შევხედოთ ამ სლოგნებსაც:

დიდი ბრიტანეთი: *ეწვიეთ ბრიტანეთს*

სინგაპური: *უნიკალური სინგაპური*

ნიუ იორკი: *Miffy / Nijntje კომიქსის პერსონაჟები.*

2003 წლის შემოდგომაზე, „NYC & Company“-მ და“ ნიუ იორკის ოფიციალურმა ვიზიტორებმა და ტურისტულმა ორგანიზაციებმა“, დაიწყო მარკეტინგული კამპანია რომელიც გათვლილი იყო ქალაქში მცხოვრებ ოჯახებზე. მთავარი ძალისხმევა მიმართული იყო Miffy-ზე კომიქსის პერსონაჟზე რომელსაც უყვარს ნიუ იორკი! ეს იყო დიკ ბრუნას 30 გვერდიანი გზამკვლევი წიგნი, სადაც კომიქსის პერსონაჟი Miffy სტუმრობდა „ნიუ იორკის 30 ღირსშესანიშნაობას, რომელიც ოჯახისთვისაა განკუთვნილი“, მათ შორის ცენტრალურ პარკს, ემპაია სტეიტ ბილდინგს, ელის კუნძულს და პლაზა კონდოს აპარტამენტებს.

ბრენდი და ვიზუალური იდენტურობა არიან კომერციული საქმიანობის ფუნდამენტური ნაწილები, მაგრამ სჭირდება თუ არა დანიშნულების ადგილს ბრენდი და თვითმყოფადობა ტურიზმის განვითარებისთვის? პასუხი არის დიახ, იმიტომ, რომ დესტინაციები, როგორცაა კომპანიები, უნდა დაუკავშირდნენ მომხმარებლებს ფართო ბაზარზე და უნდა შესთავაზონ მათ თანმიმდევრული და ხარისხიანი მომსახურება.

ყოველივე ეს მიიღწევა ბრენდის და ვიზუალური იდენტურობის აღიარებით. საბოლოო ჯამში, კომპანიის ბრენდი არის მარკეტინგული კამპანიის ყველაზე თვალსაჩინო ნაწილი, იგივე შეიძლება ითქვას დანიშნულების ადგილის მარკეტინგულ სტრატეგიაზეც ტურიზმის მიმართულებით. ძლიერი თვითმყოფადობის გარეშე, კომპანიის მარკეტინგული ძალა საგრძნობლად შეირყევა. დანიშნულების ადგილის ბრენდინგი არის ტერმინი რომელიც ხშირად გამოიყენება დანიშნულების ადგილის მარკეტინგულ ხედვაში და სტრატეგიული მარკეტინგის ბრენდინგში.

რატომ გჭირდება ბრენდი?

მარკეტინგი ქალაქებში, რეგიონებში და სხვადასხვა ერებში არასოდეს ყოფილა უფრო დინამიური, კონკურენტუნარიანი და მნიშვნელოვანი, ვიდრე დღეს არის. ამ გარემოში, ბაზრის ლიდერები აწარმოებენ თვითბრენდინგს რაც გამოარჩევთ მათ კონკურენტებში.

ეს არის რამდენიმე მიზეზი იმისა თუ რატომ გჭირდებათ ბრენდი:

1. იმისთვის რომ გააფართოვოთ სიძლიერე მიზნობრივ ბაზრებზე, რათა ნათლად დაიმკვიდროთ ადგილი კონკურენტებს შორის.
2. იმისათვის, რომ შექმნათ გამაერთიანებელი მარკეტინგული ქოლგა და მოახდინოთ დანიშნულების ადგილის პარტნიორული პროექტების სტიმულირება და წარმოაჩინოთ მისი მიმზიდველი და სასურველი თვისებები.

3. უზრუნველყოთ მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მიღება და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოთ ძლიერი იდენტურობა რათა თავიდან აიცილოთ "თვის რეკლამის" სინდრომი სამიზნეების, დიზაინის, შეტყობინებების, სურათები და თემების ხშირი ცვლით.
4. გააუმჯობესოთ და გაავრცელოთ თქვენი მარკეტინგული ძალისხმევის შედეგები. რეალურად შეამციროთ მარკეტინგის ხარჯები დაბრუნებული ინვესტიციების საშუალებით.
5. შექმნათ დიდი სინერგია და ჰარმონია ყველა მარკეტინგულ შეტყობინებას შორის.
6. ნათელი გახადოთ ბაზარზე პოზიციონირების წესი და დიფერენციაცია კონკურენტების პროექტებს შორის რაც მიგიყვანთ გამარჯვებამდე.
7. საშუალებას მოგცემთ შესთავაზოთ პრემიუმ ფასები და არ დაეყრდნოთ მხოლოდ ფასდაკლებებს და წახალისებებს.
8. აადვილებს სამომხმარებლო ცნობადობას და შექმნის პროცესს.
9. ხელს უწყობს უფრო სწრაფად აღდგენის პროცესს, როცა არის კრიზისი, მაგალითად ისეთი როგორცაა სტიქიური უბედურებები.
10. ქმნის ბარიერს ახალი კონკურენტებისთვის რომელთაც სურთ საზოგადოებას მსგავსი შეტყობინებები ან პროდუქტები შესთავაზონ.
11. აძლიერებს ადგილობრივი ბიზნესის ღირებულებებს და გთავაზობთ პლაცდარმს და წვდომას "სახელგანთქმულ" ლანჩზე, ექსპორტზე და არასამთავრობო ტურისტულ პროდუქტებზე ისეთზე როგორცაა მაგ: ღვინო, ხელნაკეთი ნივთები, ხელოვნება.
12. იზრდება და უმჯობესდება მოგება, საცხოვრებელი, საგადასახადო და შემოსავლების მართვა, ასევე უმჯობესდება საცხოვრებელი პირობები და მარტივდება ბიზნესის კეთება.
13. ხდება განმეორებითი ვიზიტორებით უზრუნველყოფა.
14. ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო მიზნები, ნიჭი და ვაჭრობა უფრო ადვილად მიღწევადია.
15. ნეგატიური აღქმა დანიშნულების ადგილის შესახებ, ხდება ადვილად დაძლევადი.
16. ენერგიას ანიჭებს დაინტერესებულ მხარეებს, რომ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი დანიშნულების ადგილის მარკეტინგს.
17. უფრო დიდი ერთიანობა და ძლიერი ალიანსი საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებს შორის.

ჩვენი საბოლოო წინადადება საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ დიდი სარგებელი ბრენდინგისგან რათა განავითაროთ თქვენი ბრენდი პროფესიული განვითარების სტრატეგიის გარეშე. თქვენ შეიძლება ეს ძალიან რთულად მოგეჩვენოთ

ობიექტურობის, სფეროში გამოცდილების, პრაქტიკული გამჭრიახობის და დროის დაზოგვის გარეშე მაგრამ პროფესიონალებს ეს შეუძლიათ.

ძლიერ ბრენდს ხშირად თან ახლავს მიმზიდველი სლოგანი. თქვენ უნდა აამაღლოთ ცნობიერება ბრენდის შესახებ, რათა გახდეს ის შესამჩნევი. ნებისმიერ შემთხვევაში დაგჭირდებათ არა მხოლოდ ვიზუალური ეფექტი, არამედ მიმზიდველი აღწერა, რომელსაც დღეს ინტერნეტში სლოგანს უწოდებენ და რაც მოუტანს თქვენს ბრენდს აღიარებას.

მაგალითები:

Delta Airlines: თქვენ მოგეწონებათ ჩვენთან ერთად ფრენა

DHL: ჩვენ შევასრულებთ დაპირებებს

Esso : ჩვენ განვათავსებთ ვეფხვს თქვენი ბენზინის ავზში.

Gillette: საუკეთესო რაც კაცს შეუძლია მიიღოს

IBM: გადაწყვეტილებები მცირე პლანეტისთვის

New York: მე მიყვარს ნიუ იორკი

KLM: საიმედო ავიაკომპანია

Marlboro Cigarettes : შემოუერთდი Marlboro-ს ქვეყანას

United Airlines : იმგზავრეთ გაერთიანებული ავიაკომპანიის მეგობრულ მფრინავებთან ერთად

Las Vegas: რაც ხდება ვეგასში ყოველთვის არ რჩება მხოლოდ აქ.

Virginia: ვირჯინია შეყვარებულებისთვისაა

ავსტრალია: "ასე რომ, რომელ სისხლიან ჯოჯოხეთში ხარ?"

WOW ფილიპინები: მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი

American Express CC: არ დატოვებს სახლში მის გარეშე

ინდოეთი: საოცარი ინდოეთი!

ესპანეთი: ესპანეთი განსხვავებულია

ჯორჯია შტატი (აშშ): აღმოაჩინეთ მოულოდნელი - ჯორჯია თქვენს გონებაში.

როგორ უნდა მართოთ ბრენდი

ყველაფერს რასაც გააკეთებთ თქვენი ბრენდის ხელშესაწყობად სჭირდება თანმიმდევრული დიზაინი. უწყვეტი მენეჯმენტი არის ბრენდის კაპიტალის და გავლენის ახალი ბერკეტების შექმნის საფუძველი. ყველაზე მთავარი რაც ბევრს ავიწყდება არის ის რომ ხშირად ადამიანებმა არ იციან ბრენდის არსებობის შესახებ. ბრენდის თანმიმდევრულობა უნდა იყოს უზადო და გამჭვირვალე. ეფექტური ბრენდის შესაქმნელად არ არის აუცილებელი, რომ დანიშნულების ადგილი იყოს ერთგანზომილებიანი. ყველა დესტინაცია, რომელიც ერთიანდება ბრენდის მარკეტინგული ქოლგის ქვეშ არის მრავალფეროვანი შეთავაზების ნაწილი, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი ბრენდი. ამ ტიპის მარკეტინგი - მულტი ბრენდინგი - მოტივირებულია ბაზრის კვლევაზე. კვლევები აჩვენებს, რომ ვიზიტორთა უმეტესობა ეძებს მრავალფეროვან შთაბეჭდილებებს, რომელიც მოიცავს რამდენიმე გამორჩეულ ატრაქციას. უმეტეს შემთხვევაში, ატრაქციის მთავარი ფუნქციაა ვიზიტორების მოზიდვა, რომლებიც დახარჯავენ ფულს სხვადასხვა ნივთებში. სხვადასხვა ღირებულებებიდან თითოეული არის ბრენდირებული და დაკავშირებულია პოტენციურ მომხმარებელთან, როგორც საერთო, მრავალფეროვანი გამოცდილება.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს რომ, როგორც კი შეარჩევთ თქვენ მიერ არჩეული ბრენდის ღირებულებებს, აღწერას, ვიზუალს და ა.შ. თქვენ უნდა დარჩეთ არჩეული გამოსახულების ერთგული, შესაძლოა სამუდამოდ არა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში. რატომ არ ცვლიან ცნობილი ბრენდები თავის იმიჯს? იმის გამო, რომ სასჯელი მომხმარებლისგან არის მკაცრი და დაუნდობელი. მაგალითისთვის ავიღოთ Coca Cola-ს ბრენდი. ამ ბრენდის ვიზუალური იმიჯი შეიცვალა რამდენიმეჯერ გასული საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ძალიან მცირედით ისე რომ ეს ხალხს არც კი შეუმჩნევია.

ამიტომ, საბოლოოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დანიშნულების ადგილის ბრენდის იმიჯი შერჩეული იქნეს ფრთხილად და მას შემდეგ რაც არჩევანს გააკეთებთ მიღებულმა სურათმა თავისი ფუნქციებით უნდა შეძლოს მარკეტინგული სარეკლამო კამპანიის წარმოება წლების განმავლობაში.

ზოგჯერ საჭიროა რებრენდინგიც, მაშინ როდესაც ხდება ძველი იმიჯის დაზიანება სხვადასხვა გზით და ა.შ.

მაგალითად:

18 მაისს 2008 წელს კენიამ დაიწყო ტურიზმის მარკეტინგის გაძლიერება საზღვარგარეთ.

მთავრობამ დაიწყო კენიის ტურიზმის მარკეტინგის გააძლიერება საზღვარგარეთის ბაზარზე, კენიის ტურიზმის მინისტრმა ნაჯიბ ბალალამ განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც იყო 10-დღიანი ტურით ევროპაში, სადაც მან მოინახულა სხვა დანარჩენ ქვეყნებთან ერთად დიდი ბრიტანეთი, იტალია და შვედეთი, ის შეხვდა ამ ქვეყნების სამოგზაურო აგენტებს, ტუროპერატორებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს. ბატონმა ბალალამ განაცხადა, რომ კენია იდგა გამოწვევის წინაშე მოეხდინა კენიის როგორც ტურისტული დესტინაციის რებრენდინგი, თუმცა აღსანიშნავია რომ ეს ინდუსტრია საგრძნობლად დააზარალა კენიაში არსებულმა ძალადობრივმა რეჟიმმა. მან ასევე განაცხადა რომ მარკეტინგული ძალისხმევა დაიწყებოდა შემდეგი შაბათიდან Maasai Mara-ს ნაკრძალში ტურისტული სეზონის გახსნით, რომელსაც დაესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და იქნებოდა ფოტო გადაღება. მინისტრმა განაცხადა, რომ ფოტო სესიაში ჩაერთვებოდა, ბრიტანეთის, ამერიკის, კანადისა და ავსტრალიის ელჩები და ასევე ევროკავშირის დელეგაცია.

"ლონისძიების მიზანია დაარწმუნოს ტურისტები იმაში, რომ კენიაში დაბრუნდა ნორმალური და უსაფრთხო ტურიზმი“ განაცხადა მან.

ამავე დროს, მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი კიბაკი და პრემიერ-მინისტრი რაილა ოდილნგა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა გორდონ ბრაუნმა მიიწვია ლონდონში რათა განეხილათ ვაჭრობა და ტურიზმი. მან გააფრთხილა პოლიტიკოსები რომ ყოფილიყვნენ ყურადღებით - "პოლიტიკოსებმა უნდა შეარბილონ ტონი, რადგან ერთმა განაცხადებამაც კი შეიძლება ზიანი მიაყენოს ტურიზმს, რაც შეიძლება ვეღარ გამოსწორდეს,, განაცხადა მან. მინისტრმა განაცხადა, რომ საჭირო იყო უფრო ნოვატორული გზები ტურიზმის მარკეტინგისთვის. მან ასევე განაცხადა, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატების მთავარი გასაღები იყო ტურიზმის, კულტურის, ფინანსების, სპორტის, ტრანსპორტის, საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების მჭიდრო თანამშრომლობა. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ იტალიაში უკვე მზად იყო სატელევიზიო სერიები კენიის შესახებ. მან განაცხადა, რომ კლიპის ეთერში ჩვენება იქნებოდა 18 მაისს და გავიდოდა დღეში ხუთჯერ იტალიური არხის, Rai TV-ის ეთერში.

გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ სამინისტროს თანამშრომლობით ტუროპერატორებთან ერთად კენიის ტურიზმის საბჭოს დაფინანსებით იტალიურ გაზეთებში განთავსდა 36 გვერდიანი ჩანართები კენიის ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით. ტურიზმის ინდუსტრია გამოიყენებს 400 მილიონ ევროს მარკეტინგული ძალისხმევის გასაზრდელად. მან ასევე განაცხადა, რომ შემდეგ წელს მომბასაში ჩატარდებოდა მოდის კვირეული, რომელსაც ორგანიზებას გაუწევდა კენიის ტურიზმის საბჭო.

"ხელისუფლება აცნობიერებს, რომ თუ უნდა პროხამ რძე მისცეს მაშინ უნდა გამოკვებოს ის“ განაცხადა მან, ასევე მიუთითა, რომ გაიზარდა მთავრობის დაფინანსება კენიაში ტურიზმის ხელშესაწყობად და ტურიზმის საბჭოს ბიუჯეტი შეადგენდა 1.5 მილიარდს საზღვარგარეთ ტურიზმის ინდუსტრიის ბაზარზე. კენიის ტურიზმის საბჭოს ხელმძღვანელმა დოქტორ ონგონგ ა' აჩინგმა განაცხადა რომ კენიას ეწვეოდნენ ცნობილი ადამიანებიც რაც დაადასტურებდა, რომ კენია არის ტურისტული დესტინაცია. მათ შორის კენიას ეწვეოდნენ პრინცი უილიამი, მილანის მერი ლეტიციო ნორატი და რომის მარათონის პრეზიდენტი ენრიკო კასტრუჩი. ბატონი ბალალა გაფრინდა 30 ტურისტისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად, მათ შორის იყვნენ მწერლები, მედიის წარმომადგენლები და ტუროპერატორები.

ბაზარი

იპოვეთ თქვენი ბაზარი

ტურიზმი შედარებით ახალია მარკეტინგის სფეროში. როგორც პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, ძლიერი ბრენდის შექმნა არის პირველი ნაბიჯი. მეორე კი არის ის, რომ იპოვოთ თქვენი ბაზარი. ეს, პირველ რიგში, კეთდება მარკეტინგული კვლევების ჩატარების საშუალებით. მარკეტინგი არის მომხმარებლისთვის დამატებითი ღირებულებების შექმნის მეცნიერება; კარგი მარკეტინგი მოითხოვს მომხმარებელთა ღირებულებების ცოდნას. ყველაზე მთავარი მარკეტინგული კითხვა არის: "რა არის ღირებული ჩვენი მომხმარებლისთვის ან პოტენციური მომხმარებლისთვის?"

მეორე ძირითადი გასაღებია მომხმარებელთა სეგმენტაცია და მიზნობრივი ბაზრის შერჩევა. ფართო ბაზარზე ყოფილი, მოქმედი და პოტენციური მომხმარებელი შესაძლოა სეგმენტირებული იყოს სხვადასხვა განზომილებების მიხედვით. მათგან ყველაზე ხშირად გამოიყენება: გეოგრაფია, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის შემოსავალი, საჭიროებები და სურვილები, დარჩენის ხანგრძლივობა და მოგზაურობის ბიუჯეტი. კიდევ ერთ გზას წარმოადგენს სეგმენტაცია ისეთი სტატუსის მიხედვით, როგორცაა:

1. ადგილობრივი მოსახლეობა
2. ქოუჩ ტურები / პენსიონერები
3. FIT (ხშირი დამოუკიდებელი მოგზაურები)
4. ბავშვიანი ოჯახები
5. ახალგაზრდა დაქორწინებული წყვილები
6. ბავშვების და სტუდენტების სკოლის ტურები
7. კონვენციის მონაწილეები
8. საერთაშორისო ვიზიტორები

დღევანდელ მარკეტინგული გარემო, რომელიც სულ უფრო მეტად ორიენტირებულია ელექტრონულ საკომუნიკაციო მედია და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, არის განსაკუთრებით სასარგებლო, რადგან შესაძლებლობა გვაქვს გამოვიყენოთ ახალი იარაღები: ელ-ფოსტა, ინტერნეტი, ფოსტა, ელ.კომერცია, მონაცემთა ბაზის მარკეტინგი.

SWOTS

SWOTS ანალიზი დაგეხმარებათ გამოიკვლიოთ თქვენი დესტინაციის სუსტი და ძლიერი მხარეები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დავალება. იგი მოიცავს როგორც შიდა და ასევე გარე ფაქტორებს. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ნახოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები ვიდრე ფულის დაბანდებას გადაწყვეტდეთ რომელიმე პროექტში. ძლიერი და სუსტი მხარეების კატეგორიები მოიცავს ორივე შიდა და გარე ფაქტორებს. ეს არის საკმაოდ მარტივი ასახსნელად მაგრამ, ესენი სწორედ ის ასპექტებია რომლებიც პირდაპირ უნდა იქნეს გაკონტროლებული თქვენს მიერ. ისინი შეიძლება შეიცავდეს თანამშრომელთა სათანადო მართვას და თქვენი ოპერატორების ფინანსურ ეფექტურობას.

შესაძლებლობები და საფრთხეები მიეკუთვნება გარე ფაქტორებს. ეს ორი თქვენი გავლენის მიღმაა და ამიტომაც წარმოადგენენ გარე ფაქტორებს. ამ ასპექტების გათვალისწინებით თქვენ საშუალება გექნებათ თქვენს დესტინაციაზე თავიდან აიცილოთ საფრთხეების უმეტესობა მანამ სანამ ისინი მოხდება. გარე ფაქტორების მაგალითებია ცვლილებები ეკონომიკაში, გარემოს დაცვის საკითხები, კატასტროფები, ომები და ამინდი.

თქვენი ბიზნეს გეგმაში SWOT ანალიზის გამოყენების შემდეგ თქვენ გაცილებით უკეთ გეცოდინებათ ღირს თუ არა ფულის ინვესტირება თქვენი პროექტის ფინანსურ ან ადამიანურ რესურსებში.

სტრატეგია

"ნებისმიერი გზა მიგიყვანთ იქ თუ თქვენ არ იცით სად მიდიხართ", განაცხადა Mad Hatter-მა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. Mad Hatter-ის დაგეგმვის ეს მიდგომა რა თქმა უნდა, ერთ-ერთია მათ შორის, რომელიც თავიდან უნდა ავიცილოთ, როდესაც საქმე ეხება ტურისტული დესტინაციის მარკეტინგს. დღევანდელ კონკურენტულ და გადატვირთულ გარემოში ქალაქებში და რეგიონებში ამ სიტუაციაში ძნელია მარკეტინგული მიდგომა. დესტინაციებმა უნდა დაგეგმონ შთაბეჭდილების მოხდენის პირველი მომენტი, როდესაც ტურისტი შევა თქვენს საიტზე ან ნახავს თქვენს ბროშურას, მას უნდა გაუჩნდეს ვიზიტის სურვილი. აუცილებელია ხშირად აკონტროლოთ თქვენი დანიშნულების ადგილის მარკეტინგული მონაცემები,

დაისახოთ მიზნები და დაგეგმეთ მომავალი წლების სტრატეგია. დანიშნულების ადგილის მარკეტინგში, ისევე როგორც სხვა ინდუსტრიებში, არსებობს მრავალი უშუალოდ ჩართული პარტნიორები, მათ შორის კონკურენტებსაც კი უწევთ ერთად მუშაობა რათა განავითარდეს დანიშნულების ადგილის: სასტუმროები, მუზეუმები, ძეგლები, ღონისძიების დამგეგმავები, თეატრები და ა.შ.

ტურისტული პროდუქტი

1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის ტურიზმის აქტივები.

ლანდშაფტი, ტყე, სოფლები, ვულკანები, პლაჟები, ტბები, ზღვის სანაპიროები.

კულტურული ძეგლები, როგორცაა ქალაქის პეიზაჟები, ძეგლები, მუზეუმები, არქიტექტურა, ბაზრები

კულტურული და ისტორიული მოვლენები, ფესტივალები, გამოფენები, თემატური პარკები, ბუნებრივი პარკები.

2. ინფრასტრუქტურა

ტექნიკური ინფრასტრუქტურა: გზები, რკინიგზა, ავტობუსები, კატარღები, აეროპორტები, ნავსადგურები და საზღვაო, სატრანსპორტო სისტემები.

კომუნალური სისტემები: წყალმომარაგება, ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია, კანალიზაცია და დასუფთავება.

სოციალური ინფრასტრუქტურა: უსაფრთხოება, საბაჟო, და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კლიმატური პირობები.

3. საცხოვრებელი სტრუქტურა.

საცხოვრებელი: სასტუმროები, პანსიონატები, სასტუმროები, კერძო საცხოვრებლები, საწოლი და საუზმე, კარავი, საცხოვრებლები ზღვაზე და ა.შ.

სერვისი: რესტორნები, ბარები, სპორტული ობიექტები, საცურაო აუზი, პლაჟი და ტბა, სავაჭრო ცენტრები, თეატრი, კინო, ოპერა. ბალეტი და ა.შ.

4. პროდუქტის განვითარება

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის ტურიზმის აქტივები

ინფრასტრუქტურა: სატრანსპორტო საშუალებები, სოციალური ინფრასტრუქტურა

საცხოვრებელი სტრუქტურა: საცხოვრებელი, რეკრეაციული ობიექტები

ტურისტი

მნიშვნელოვანია იცოდეთ თქვენი ტურისტების შესახებ:

1. ვინ არიან ისინი?
2. სადაურები არიან?
3. სად აპირებენ წასვლას?
4. რატომ სტუმრობენ თქვენს ქვეყანას?
5. როდის და როგორ გადაწყვიტეს რომ აქ მოსულიყვნენ ?
6. რა იციან თქვენი ქვეყნის შესახებ?
7. როდემდე დარჩებიან თქვენს ქვეყანაში?
8. რომელი ტრანსპორტი გამოიყენეს სამოგზაუროდ?
9. სად უნდათ დარჩენა?
10. სად და რამდენი დღის განმავლობაში დარჩებიან?
11. რა არის საჭირო მათთვის?
12. რამდენს გაიდახდიან დასვენებაში?

პერსონალის მოტივაცია

რა მოხდება, თუ თანამშრომლები არ არიან მოტივირებულნი?

ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ სამუშაოს სწორად!

შედეგი? : უკმაყოფილო სტუმრები:

მნიშვნელოვანია: ა. ინსტრუქცია

ბ. ინფორმაცია

გ. დამოკიდებულება

როგორ ვაწარმოთ მაღალი ხარისხის პროდუქტი?

1. შესაბამისი აღჭურვილობა, გარემო + ინსტრუმენტები
2. პერსონალი.

მნიშვნელოვანი კომპონენტები წარმატებული ოპერაციისათვის:

1. ტრენინგი
2. მაღალი ხარისხის საკვები
3. შესანიშნავი მომსახურება
4. საამაყო სამსახური
5. თანამშრომელთა ვალდებულება (მოტივაცია)

კარგი გარეგნობის თანამშრომელი მნიშვნელოვანია

1. სანიტარია
2. თმა
3. უნიფორმა
4. ხელები

ეს ნიშნავს:

1. სამუშაოს სპეციფიკაციას
2. ახალი კადრების მომზადებას

თანამშრომელთა უფრო მოტივირებულია თუ აქვს კარგი ცოდნა:

- | | |
|---------------|---------------------------|
| 1. ვინ | ორგანიზაცია ტურ ოპერატორი |
| 2. რა | მითითება, ინსტრუქცია |
| 3. როგორ | ინსტრუქცია / ტრენინგი |
| 4. სად | ინფორმაცია |
| 5. წახალისება | |

როგორ და ვინ წახალისოთ?

1. სასწავლო პროგრამები (მოკლე -, საშუალო - და გრძელი ამოცანებით)
2. დაწინაურება (კარიერული განვითარება)
3. დასაქმებული არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციისთვის
4. ხელფასი

სტრესმა შეიძლება მოტივაცია დაუკარგოს თანამშრომლებს:

1. სტრესი მენეჯმენტისგან
2. სტრესი თანამშრომლებისგან
3. სტრესი მომხმარებლისგან / სტუმრებისგან
4. სტრესი სხვა წყაროებიდან

როგორც მენეჯერი / ხელმძღვანელი ვაძლევთ პირად და პერსონალურ მაგალითს.

თანამშრომელი მოტივირებულია, მაგრამ ხელმძღვანელი / მენეჯერი აძლევს მას

ცუდ პირად მაგალითს:

1. მოდის სამუშაოზე ძალიან გვიან
2. ტოვებს სამუშაოს ძალიან ადრე
3. ცუდი პირადი სანიტარია
4. მოუწესრიგებელი უნიფორმა
5. ჭამა და სმა ხალხმრავალ რესტორანში ან ოფისში მუშაობის დრო

6. სტუმარიების ხმამაღლა გაკრიტიკება

პირადი ინტერესები:

როდესაც თანამშრომელს აქვს პრობლემა უნდა გამონახოთ დრო რათა მოუსმინოთ, რჩევა მისცეთ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

1. შეიძლება პრობლემა იყოს თანამშრომელთა შორის ან თანამშრომელთან სხვა განყოფილებაში
2. პრობლემები სახლში (პირადი) რასაც შეუძლია გამოიწვიოს დემოტივაცია.

სტრესი მენეჯერისგან

მენეჯერის დამოკიდებულებამ შეიძლება შექმნას სტრესი და გავლენა იქონიოს სამუშაოს შესრულებაზე.

მენეჯერი პატივს არ სცემს თანამშრომლებს
პირადი კომუნიკაციის ნაკლებობა

სტრესი თანამშრომლებისგან

არაკოოპერატიული კოლეგები

ზოგიერთი თანამშრომელი არ ჩანს სამუშაოზე კრიტიკული სიტუაციის დროს
არაკეთილსინდისიერი კონკურენცია თანამშრომლებს შორის.

სტრესი მომხმარებლისგან/ სტუმრისგან

შეიძლება გავლენა იქონიოს თანამშრომელზე

ზეწოლა მოუთმენელი სტუმრისგან - სურს სწრაფი მომსახურება გადატვირთული მუშაობის დროს.

სტრესი სხვა წყაროებიდან

აღჭურვილობა ართულებს მუშაობას და არ არის საკმარისი ინსტრუმენტები.

სამუშაო გარემო: როგორცაა ცუდი საოფისე ინვენტარი, ცუდი ტრანსპორტი და ა.შ.

იდეალური თანამშრომლის კვალიფიკაცია:

- A. დამოკიდებულება
- B. ცოდნა
- C. უნარ-ჩვევები
- D. ფიქრობს სტუმრებზე
- E. ფიქრობს კოლეგაზე
- F. ფიქრობს კომპანიაზე
- G. ფიქრობს მოგებაზე

ტურიზმის მარკეტინგი

1. ანალიზი

1. მიზანი კომპანიის / ქვეყანის / რეგიონის
2. კვლევა

2. მიზნები

1. რას შეგიძლიათ მიიღოთ ახლა?
2. რა პროდუქტებით აპირებთ თქვენ დაწყებას?

3. სამიზნე ჯგუფი

რა არის სამიზნე ჯგუფი?

1. აღწერეთ სამიზნე ჯგუფი
2. რა არის განსხვავება, ხუთი წლის წინანდელთან შედარებით?

4. მარკეტინგული მიქსი

1. ადგილი
2. პროდუქტი
3. ხალხი
4. ფასი
5. ხელშეწყობა

5. ზოგადი ხელშეწყობა

1. სტრუქტურა
2. ხელშეწყობა
3. თქვენი შეთავაზებები

6. როგორ შეუწყობთ ხელი?

1. ბაზრობები
2. ნაბეჭდი მასალები
3. პირდაპირი გაყიდვა
4. რეკლამა
5. ინიციატივები
6. ტურისტული ვაჭრობის პრესა
7. ინტერნეტი

7. სტრატეგია

Ansoff - მოდელი

	ფაქტობრივი ბაზარი	ახალი ბაზარი
ფაქტობრივი პროდუქტი		
ახალი პროდუქტი		

SWOT- ანალიზი

სიძლიერე	სისუსტეები
შესაძლებლობები	საფრთხეები

ტურიზმის გავლენა

1. ზრდის შემოსავალს ტურისტების საშუალებით
2. ზრდის ახალ ინვესტიციებს
3. ზრდის უცხოური ვალუტის მიმოქცევას
4. იზრდება საშუალო ტურისტული ხარჯები
5. ზრდა დასაქმების სექტორში (მათ შორის არაპირდაპირი დასაქმება)
6. მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა: წმინდა სავალუტო ბალანსი.
7. მნიშვნელოვანი მულტიპლიკატორის ეფექტი.
8. დამატებითი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა
9. მთავრობის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა
10. მაღალი ღირებულების ეფექტურობა და პროდუქტიულობა.
11. სოფლის მეურნეობის განვითარების ზრდა
12. შიდა ბაზრებზე სოფლის მეურნეობის დაწინაურება
13. ეკონომიკური დივერსიფიკაცია
14. დადებითი საერთაშორისო ცნობიერების გაზრდა
15. აძლიერებს შიდა ტურიზმის ზრდას.

16. დიდი ნდობა ინდუსტრიაში.

17. გარემოზე ნაკლები მავნე ზემოქმედება.

ასე რომ, უკეთესი ცხოვრება თქვენთვის და თქვენი ქვეყნისთვის!

უცნობი დესტინაცია

გასაოცარი მოგზაურობა მათთვის, ვისაც სურდა საოცარი მოგზაურობა თქვენ ან თქვენს მიმდებარე ქვეყნებში.

უმჯობესია კითხვით თქვენს მოულოდნელ სტუმრებს მათი სამოგზაურო სურვილების და მოთხოვნების შესახებ.

ჩამოსვლის და გამგზავრების თარიღზე დაყრდნობით, შეგიძლიათ დააკომპლექტოთ მათ მოგზაურობა დაუვიწყარი დასვენებისთვის. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა ტიპის ტრანსპორტი და საცხოვრებელი, თქვენი მომხმარებლის სურვილების გათვალისწინებით.

იფიქრეთ რა სურთ რომ დათვალიერონ,სად სურთ რომ დაიძინონ, ყველაფერზე რაც მათ მოგზაურობას დაუვიწყარს გახდის. თქვენ მოგიწევთ ახალი ტურისტული საქონლის შეთავაზება თქვენი სტუმრებისთვის ამ მოგზაურობისას, ასევე თქვენი ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების გაცნობა.

რა განსხვავებაა მოგზაურსა და ტურისტს შორის

ტურისტი არის პირი, რომელიც თავისი ქვეყნის ტურ ოპერატორის მეშვეობით,რომელიც ორგანიზებას უწევს დასვენებას, მოგზაურობს სხვა ქვეყნებში. ეს მოგზაურობა დაგეგმილი და ორგანიზებულია თავისი ქვეყნის ტურ ოპერატორის მიერ. მოგზაურობა მოიცავს: ტრანსპორტს სამშობლოში, ჩასულ ქვეყანაში და უკან. ასევე ტუროპერატორის მეშვეობით დაგეგმილია ის ადგილები, რომლებსაც მონახულებენ. ეს იმას ნიშნავს, ყველაფერი არის სრულიად ორგანიზებული ტურ ოპერატორის მიერ. მათ მხოლოდ უწევთ მომსახურების საფასურის გადახდა.

მოგზაურს სძულს საკუთარი მოგზაურობის დაგეგმვა ტურ- ოპერატორის მეშვეობით

ისინი დამოუკიდებლები არიან და ისვენებენ როგორც მათ სურთ.

თუ ისინი ნახავენ უფრო იაფ სატრანსპორტო ბილეთს ვიდრე გეგმავდნენ მაშინ დაუფიქრებლად დაჯავშნიან ბილეთს. ისინი თავად წყვეტენ რა უნდა ნახონ, რა უნდა გააკეთონ, როდის უნდა იყვნენ აქტიური ,სადაც დაიძინონ (სასტუმრო - სასტუმრო სახლი - კარავი - და ა.შ.), რა სახის ტრანსპორტით იმოგზაურონ (თვითმფრინავი - ავტობუსი - მატარებელი - ნავი - ველოსიპედი - ავტომობილი - და სხვა).

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მოგზაურს სურს იხილოს ისეთი ქვეყანა როგორც ის რეალურადაა. ეს ნიშნავს იმას, რომ მოგზაურებს სურთ იხილონ თქვენი ქვეყნის ეკო და აგრო რაიონები. იქიდან გამომდინარე რომ თქვენ უკეთესად იცით თქვენი ქვეყანა მოგზაურმა კი იცის მხოლოდ ის რაც მან ნახა ინტერნეტში და წიგნებში, შეგიძლიათ მათ რჩევა მისცეთ თუ სად იმოგზაურონ და რა ნახონ- და ასევე შესთავაზოთ თქვენი სერვისები (სატრანსპორტო - ღამის გასათენებელი - და ა.შ.) ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბაზარზე.

დასავლეთში უფრო და უფრო მეტი ადამიანი ჯავშნის მათ მოგზაურობას და დასვენებას ინტერნეტით. შესაძლებელი გახადეთ მოგზაურებისა და ტურისტებისთვის, რომ ადვილად გიპოვნონ და შეთავაზეთ ის რაც სურთ.

ავტორი მადლობას უხდის და მიესალმება კოლეგების, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების კომენტარებს.

ექსპლორ ჯორჯია - Paradise დედამიწაზე!

<http://www.exploregeorgia.org/>

ჩვენ მხარს ვუჭერთ მდგრად სოფლის ტურიზმს

www.icct.ge

კონტაქტი: მარინე მეტრეველი <https://www.facebook.com/marina.expert.metreveli>

icctproject@gmail.com

მობ. + 995 599 50 23 36

Международный Центр Кавказского Туризма

Марине Метревели

**„Если вы хотите достичь успеха в менеджменте туризма,
тогда эта книга для вас“.**

Тбилиси

2016

Содержание:

- Введение
- Определения и термины
- Определите пункт назначения
- Расположение, расположение, расположение!
- Что вы продаете?
- Сколько?
- Кому?
- Установите границы
- Сделайте свой SWOT- (достоинства, недостатки, возможности, угрозы)
- USP-х Уникальное торговое предложение
- Бизнес
- План
- Брендинг (брендирование, создание бренда, продвижение торговой марки)
- Что такое бренд?
- Зачем нам нужен бренд?
- Как управлять брендом?
- Рынок
- Найти свой рынок
- SWOTS- достоинства, недостатки, возможности, угрозы
- Стратегия
- Продукт туризма
- Турист
- Мотивация сотрудников
- Маркетинг теризми
- В чем разница между путешественниками и туристами ?

Введение

Очень важной частью индустрии туризма является управление местом назначения. В основном это означает, что вы хотите представить пункт назначения, страну, город, село, регион на всеобщее обозрение для рынка .

Думайте об этом как о рынке на открытом воздухе : вы все знаете/видели палатки на рынке, куда люди стекаются отовсюду, тат как держатель палатки развлекает, рассказывает хорошую историю или использует ловкие трюки. Люди покупают его продукт, независимо от того нужен он им или нет.:

"Я даю вам не одну, не две, а три связки бананов по цене одной!" Платите ли вы меньше, чем в других местах? Нет. Но вы думаете, что вы платите.

"Мои бананы непосредственно импортированы из Гватемалы, свежие прямо с дерева, лучшего вкуса \ вкуснее!"

Правда или ложь?

Это имеет значение?

Важно то, как вы купили его историю!

То же самое касается вашего туристического продукта.

Пункт назначения не может планировать, не может в полной мере воспользоваться своими возможностями потенциалами, или с большой вероятностью избежать присущие негативные возможностей, без знания туристического рынка, посетителей (стороны спроса) и отраслей туризма (со стороны предложения).

С растущими знаниями рынка, значительно ощущается улучшение в области стратегического маркетинга. Маркетинговые организации, которые были исследованы, вкладывают значительную часть (2% до 10%) своего годового бюджета на исследования. Они постоянно обновляют способы сбора информации о состоянии рынка и последовательно используют эту информацию.

Управление Пунктом назначения делится на 2 части:

В конечной части мы будем определять:

Сначала ваш продукт, что и где находится.

Торговую марку: мы дадим вашему продукту имя и выделим его из остальных.

Рынок: Где мы будем продавать его?

Продвижение: как только мы выполним эти первые три части, мы начнем говорить об этом людям.

В части управления на семинаре мы обсудим, как настроить местное представительство на хорошие дела с отлаженным рабочим механизмом, с большим количеством взаимосвязанных сил, которые мгновенно активизируются, что и будет способствовать продвижению вперед. Вы увидите, как четкая организация и строгое управление принесут пользу вам всем, с наименьшими затратами, большим эффектом и очень успешно. Работай вместе это - девиз, который вы никогда не должны забывать.

Определения и термины

Перед тем, как продолжить необходимо объяснить вам некоторые термины, которые очень важны в индустрии туризма:

1. **Турист:** Определяется по общим потребностям и накопленному опыту, затребованными посетителями \ визитёрами . Путешественник понимается как человек, который ищет такие ценности, как свободное время, отдых, развлечения, личное обогащение. Турист чаще всего путешествует с семьей или партнерами, что приводит к дополнительным потребностям и желаниям. Кроме того, туристы будут потреблять широкий ассортимент продуктов и услуг во время визита, каждый из которых должен предложить приемлемый уровень качества. Турист хочет иметь выбор и достаточную информации, чтобы сделать наилучший выбор для себя.

2. **Пункт назначения:** взаимосвязанный и бесплатный набор аттракционов, мероприятий, услуг и продуктов, которые вместе способствуют созданию общего опыта и осмысления ценности для посетителя.

